ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 413

“16” აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქუჩა ტაბიძე, № 3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.15.05.074.022) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (საიდენტიფიკაციო №404449049) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (ს/ნ. 404449049) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს №24.1379.1562 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ქუჩა ტაბიძე, №3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.15.05.074.022) პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (საიდენტიფიკაციო №404449049), იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 700 (ხუთი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე